



USAID
ამერიკელი ხალხისგან



სამართველთს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №7
აპრილი 1 - მაისი 1, 2020

თბილისი, 2020

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

მარიამ ლაცაბიძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, 2019 წლის აგვისტოდან ახორციელებს პროექტს - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“. მისი დაფარვის არეალია თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და აჭარა.

პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად, საია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

საგანგებო მდგომარეობა და საკონსტიტუციო ცვლილებები

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო, 21 მარტს ქვეყანაში 21 აპრილის ჩათვლით საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.¹ 22 აპრილს, პარლამენტმა პრეზიდენტის ბრძანება² 97 ხმით 10-ის წინააღმდეგ დაამტკიცა³ და ვადა კიდევ ერთი თვით გახანგრძლივდა.

ამ ვითარების გამო კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა შეჩერებულია.⁴ საგანგებო მდგომარეობის დადგენილ ვადაში დასრულების შემთხვევაში უზენაესი კანონის შეცვლა დარჩენილ დროში შესაძლებელია.⁵ საია იმედოვნებს, რომ მიღწეული შეთანხმების საკანონმდებლო დონეზე გაფორმება საფრთხე არ შეექმნება.

ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი

2020 წლის 13 აპრილს, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი სასამართლომ დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა 5-წლიანი პატიმრობა.⁶ ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობის ნაწილში მოსამართლემ ოქრუაშვილი გაამართლა, თუმცა დამნაშავედ მიიჩნია ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობისთვის.⁷ მსჯავრდებული ბრალს არ აღიარებს და აპირებს გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას.⁸ ყოფილი მინისტრი 2019 წლის 25 ივლისს 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით დააკავეს.⁹

¹ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Vl-CbFp>, განახლებულია: 11.05.2020.

² საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის №2 ბრძანება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35Ealnp>, განახლებულია: 11.05.2020.

³ „97 მომხრე, 10 წინააღმდეგი - პარლამენტმა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გაგრძელებასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება დაამტკიცა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 22.04.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fnZLuu>, განახლებულია: 08.05.2020.

⁴ საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

⁵ საინფორმაციო ბიულეტენი №6, გვ. 5, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WGz7EY>, განახლებულია: 08.05.2020.

⁶ ოქრუაშვილს 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს“ საინფორმაციო პორტალი ნეტგაზეთი, 13.04.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2T3T2MI>, განახლებულია: 14.05.2020.

⁷ იქვე.

⁸ იქვე.

⁹ „ირაკლი ოქრუაშვილი დააკავეს“, საინფორმაციო პორტალი რადიოთავისუფლება, 25.07.2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2L4zweR>, განახლებულია: 07.05.2020.

ოპოზიციის განმარტებით, 2020 წლის 8 მარტის მემორანდუმი¹⁰ ითვალისწინებს მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეების გადახედვას და ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების გათავისუფლებას სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით.¹¹ 2020 წლის 13 აპრილს, ოპოზიციამ გამოქვეყნა ღია წერილი და პარტნიორებსა და მხარდამჭერებს მოუწოდა, რომ საქართველოს მთავრობას შეახსენონ 8 მარტის შეთანხმების სრულად შესრულების მნიშვნელობა.¹²

14 აპრილს, ამერიკული შეერთებული შტატების საელჩომ, თავის განცხადებაში, გამოსატყობი შეშფოთება პოლიტიკურ ჩარევასა და შერჩევით სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით და მოუწოდა ხელმომწერ მხარეებს 8 მარტის შეთანხმების შესრულება.¹³ ამ ფაქტს ასევე გამოეხმაურა ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი და აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება ეჭვქვეშ აყენებს მიუკერძოებლობის პრინციპს, შეიცავს პოლარიზაციის რისკებს და მოუწოდა მხარეებს შეთანხმების ერთგულებისკენ.¹⁴

საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა

პარლამენტში, ონლაინ რეჟიმში, ეუთოს რეკომენდაციების კანონმდებლობაში ასახვის მიზნით საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვა მიმდინარეობს.¹⁵ შეხვედრებში მონაწილეობენ პარტიები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სამოქალაქო სექტორი.

საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებებზე მუშაობა პარლამენტმა 2019 წლის შემოდგომის სესიების ფარგლებში დაიწყო.¹⁶ საია თავიდანვე აქტიურად იყო ჩართული პროცესებში. მარტსა და აპრილში¹⁷ გაიმართა ოთხი სამუშაო შეხვედრა, სადაც ორგანიზაციამ დაფიქსირა საკუთარი პოზიცია განსახილველი საკითხების მიმართ.

პირველ რიგში საია მიესალმება თავდაპირველად წარმოდგენილ პროექტი არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გადადგმულ ნაბიჯებს და მოხარულია რომ შენიშვნების ნაწილი ასახულია კანონპროექტებში, თუმცა, საარჩევნო კანონმდებლობაში კვლავ რჩება პრობლემები, რომელიც ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს. მათგან აღსანიშნავია:

- საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების მოდელი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს თანასწორ წარმომადგენლობას საარჩევნო კომისიებში და ემსახურება მასში მმართველი პარტიის პოზიციების გამყარებას. აუცილებელია საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენის შემცირება და ადმინისტრაციის სრულად პროფესიული ნიშნით დაკომპლექტება;
- დამკვირვებლის/საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის უზნიდან განმეორებით გაძევების შემთხვევაში პირი კარგავს უფლებას შეასრულოს ამავე დღეს დამკვირვებლისა თუ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის უფლებამოსილება. ეს ცვლილება პრობლემურია,

¹⁰ „ურთიერთგაგების მემორანდუმი“, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ვებგვერდი, 08.03.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zE1pYq>, განახლებულია: 11.05.2020.

¹¹ „შეთანხმება პოლიტპატიმრებზე - რა წერია ხელისუფლებისა და ოპოზიციის ერთობლივ განცხადებაში“, საინფორმაციო პორტალი ტაბულა, 08.03.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dmzxH0>, განახლებულია: 08.05.2020.

¹² „ოპოზიციური პარტიები საქართველოს პარტნიორებს ღია წერილით მიმართავენ და სთხოვენ, “მთავრობას 8 მარტის შეთანხმების სრულად განხორციელების მნიშვნელობა შეახსენონ“, საინფორმაციო პორტალი ინტერპრესნიუსი, 23.04.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2SFEBOM>, განახლებულია: 08.05.2020.

¹³ „ა.შ.შ.-ის საელჩოს განცხადება ირაკლი ოქრუაშვილის შესახებ“, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ვებგვერდი, 14.04.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bdTvCa>, განახლებულია: 08.05.2020

¹⁴ კარლ ჰარცელის ოფიციალური განცხადება, Twitter-ის ოფიციალური გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35FWx-hA>, განახლებულია: 08.05.2020.

¹⁵ „არჩილ თალაკვაძემ პარლამენტის წევრებთან ვიდეოკონფერენცია გამართა“, პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 01.05.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WzOQWc>, განახლებულია: 08.05.2020.

¹⁶ საინფორმაციო ბიულეტენი №1, გვ 2-3. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ce3n06>, განახლებულია: 08.05.2020

¹⁷ შეხვედრები გაიმართა: 20 და 26 მარტს, 2 და 28 აპრილს.

- რადგან არ არსებობს გადანყვეტილების დროული და ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმი;
- შემოთავაზებული პროექტი ვერ უზრუნველყოფს ამომრჩევლის დაცვას ზეგავლენისგან და არჩევნების დღეს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლინებას, რისთვისაც აუცილებელია დადგინდეს გარკვეული რადიუსი საუბნო კომისიასთან, სადაც ყოფნის უფლება მხოლოდ ამისთვის სპეციალურად უფლებამოსილი პირების გარდა არავის ექნება, ამავდროულად სიჩუმის დღემ უნდა მოიცვას არჩევნების წინა დღეც;
 - არსებული ფინანსური ნამახალისებელი ზომა ვერ უზრუნველყოფს ქალთა **პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდას**.¹⁸ აუცილებელია დროებითი სავალდებულო მექანიზმის - კვოტირების შემოღება.

საია მოუწოდებს ხელისუფლებას გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საარჩევნო გარემოს და ხელს შეუწყობს არჩევნების მშვიდ და სამართლიან გარემოში ჩაბარებას.

¹⁸ „ფინანსური ნამახალისებელი ზომა ვერ უზრუნველყოფს ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდას“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 21.09.2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ccEu55>, განახლებულია 08.05.2020.